შპს ჯეო ტრეიდი
ს/კ 405387709

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
მომზადებული

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯეო ტრეიდი ს/კ 405387709

ბალანსის უწყისი

	2023	2022
აქტივები		
მიმდინარე აქტივები:		
ნაღდი ფული	1768	2050
საბანკო ანგარიში	11998	89405
დებიტორული დავალიანება	1092295	1103123
საეჭვო ვალების რეზერვი	0	0
სასაქონლო მარაგები	1004948	1086820
ნედლეული	723	0
წინასწარ გაწეული ხარჯები, გაცემული ავანსები	202556	118910
სხვა მიმდინარე აქტივები	52	15
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**2314340**	**2400323**
ძირითადი საშუალებები:		
სატრანსპორტო საშუალებები	15016	4772
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	1623	508
მოწყობილობა და დანადგარები	0	0
უძრავი ქონება	0	0
მიწა	39300	0
მთლიანი ძირითადი საშუალებები	**55939**	**5280**
არამატერიალური აქტივები:		
ლიცენზია და პატენტი	0	0
გუდვილი	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	**0**	**0**
მთლიანი აქტივები	**2370279**	**2405603**
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	274288	198134
დარიცხული გადასახადები	121693	49220
დარიცხული ხელფასები	0	0
ავანსად მიღებული შემოსავლები	0	0
მოკლევადიანი სესხები	280829	459340
სხვა ვალდებულებები		414
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	676810	707108
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	0	166024
გადავადებული გადასახადები	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	***0***	***166024***
მთლიანი ვალდებულებები	***676810***	***873132***
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი	57397	269485
გაუნაწილებელი მოგება	1636072	1262986
მთლიანი კაპიტალი	***1693469***	***1532471***
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**2370279**	**2405603**

დირექტორი

შპს ჯეო ტრეიდი სკ 405387709
მოგება–ზარალის უწყისი

	2023	2022
შემოსავლები:		
მთლიანი გაყიდვები	7132973	5929362
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	0	0
წმინდა გაყიდვები	7132973	5929362
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	1086820	652777
შესყიდვების ხარჯები	6070732	5423278
მარაგები პერიოდის ბოლოს	1005017	1086820
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6152535	4989235
საერთო მოგება	**980438**	**940127**

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	123918	69515
ტრანსპორტირების ხარჯები	0	0
ქირა	54471	24965
რეკლამა	0	0
კომუნალური ხარჯები	1749	1552
საოფისე ხარჯები	1605	380
საბანკომო მსახურების ხარჯები	15074	14279
დაზღვევა	0	0
უიმედო ვალების ჩამოწერა	0	0
ქონების გადასახადი	109	58
რემონტი	0	0
სხვა ხარჯი	392925	140837
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	589851	251586

საოპერაციო მოგება	390587	688541

ცვეთა და ამორტიზაცია	1751	1124
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	35085	31536
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	76189	100866
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	57672	22105
მოგების გადასახადი	0	0
დივიდენდი	0	0

წმინდა მოგება (ზარალი)	**372268**	**734642**

დირექტორი

შპს ჯეო ტრეიდი
ს/კ 405387709

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	21042878.00	15474556.00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-21120567.00	-15458313.00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-77689.00	16243.00
გადახდილი მოგების გადასახადი	0.00	0.00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-77689.00	16243.00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0.00	0.00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	0.00	0.00
მიღებული პროცენტები	0.00	0.00
მიღებული დივიდენდები		
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	0.00	0.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-77689.00	16243.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	91455.00	75212.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13766.00	91455.00

დირექტორი

სს.სარეგისტრაციო. შპს "ჯეო ტრეიდი" 405387709 GEORGIA. "GEO TRADE" LTD

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეო ტრეიდი (ს.ნ 405387709) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პ.ქავთარაძის I შეს.6, ბ.15.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საწარმომ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა მსს ფასს

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- ავეჯი 5-15 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დას- რულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, თანახმად წინასწარ შეთანხმებული სასესხო გრაფიკისა.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება . ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო (ან მსგავსი პროგრამის) ვალდებულება.

არაარსებითობის გამო კომპანიის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

დივიდენდის განაწილება

კომპანიის ერთპიროვნული, 100%-იანი წილის მფლობელი, დამფუძნებელი წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის წესს.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.